სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 10

2017წ. "04" 09

ქ.თბილისი

შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2017 წლის 30 აგვისტოს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი №016/214 (რეგისტრაციის №991783) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 10 ივლისის №43 გადაწყვეტილების მიმართ, კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ. სააპელაციო საბჭომ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 28^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნეს შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის №016/214 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

თავმჯდომარე
გრიგორ ტატიშვილი